სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

22 / ნოემბერი / 2024 წ.

KA080165124620324

№ **3181**

განკარგულება

შპს „ალონისის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქარელის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT240007826;

შესყიდვის ობიექტი: 45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ალონისი“ (ს/ნ: 218081812);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 23 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 23 სექტემბრის № 104-104242677 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №7870), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ალონისის“ (ს/ნ: 218081812) მიერ NAT240007826 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 23 მაისის № 93 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის makedon.ananikovi@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 30 სექტემბრის №2766 წერილებით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 4 ოქტომბერს წარმოადგინა 2024 წლის 4 ოქტომბრის № 29 განმარტება (რეგისტრაციის № 8288) 2024 წლის 23 მაისის № 93 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 22 ნოემბერს სააგენტოს 2024 წლის 14 ნოემბრის №3284 წერილის პასუხად წარმოდგენილ იქნა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 21 ნოემბრის № 104-1042432639 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 9826) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2024 წლის 23 მაისის № 93 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის დამატებითი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები დასრულდა, თუმცა არაჯეროვნად და მოცულობების ნაკლებობით. შესაბამისად შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩაიბარა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო რაც, რა თქმა უნდა, ნაკლები იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობისგან, რამაც გავლენა იქონია სამუშაოების ჯეროვნად შესრულებაზე.

3. მიმწოდებლის პოზიცია

3.1. მიმწოდებლის განმარტების თანახმად, სტადიონის მოწყობის ტერიტორია წარმოადგენდა ფერდობს, რომლის შუა გულში მოწყობილი იყო ნაკელის მოსაგროვებელი დიდი ღრმული. მიმწოდებლის მიერ მოჭრილი იქნა მთელ ტერიტორიაზე მიწა გრუნტამდე და გატანილ იქნა ტერიტორიის გარეთ. არსებული ღრმულის ამოსავსებად ადგილობრივი გამგებლის თხოვნით გამოყენებული იქნა მიმდებარედ არსებული მდინარის კალაპოტში ჩამოტანილი მდინარის ბალასტი, რითაც შეივსო არსებული ღრმული და აღნიშნულის შემდეგ განხორციელებული იქნა შემდეგი სამუშაოები. შპს „ოპტიმალ გრუპის“ წარმომადგენელმა, რომელიც თითქმის ყოველდღე აწარმოებდა კონტროლს ობიექტზე ფოტო გადაღებით და აფიქსირებდა მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებს, სამუშაოების დამთავრების შემდეგ მიმწოდებელს აცნობა, რომ იგი აღნიშნული სამუშაოების შესრულებას ვერ დაადასტურებდა. მიმწოდებელი განმარტავს, რომ აღნიშნული სამუშაოების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შპს „ოპტიმალ გრუპის“ წარმომადგენელს უნდა დაეწერა შეუსაბამობის აქტი და მისთვის შემდეგი სამუშაოების ჩატარების უფლება არ უნდა მიეცა. გარდა ამისა, დასკვნაში ნათლად ჩანს ბალასტის დაყრა, რაც 25სმ-ზე მეტია, რომლის ამოთხრა თავად შპს „ოპტიმალ გრუპის“ წარმომადგენელმა მოითხოვა რაოდენობის გასაგებად. აღნიშნულის შესახებ, მიმწოდებელმა აცნობა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას და მათ ოფიციალური წერილი გაუგზავნეს შპს „ოპტიმალ გრუპს“ , თუმცა უშედეგოდ.

3.2. რაც შეეხება სამუშაოების წარმოებას, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 20 მმ 5500DTX სისქის ხელოვნური მწვანე ბალახი, ხოლო მიმწოდებლის მიერ დაგებულ იქნა 8000DTX ბალახი 20 მმ სისქის, რომელიც ხარისხით უკეთესი იყო. ჭიშკრის კარებში გათვალისწინებული იყო მავთულბადე, მიმწოდებლის მიერ გაკეთებული იყო 40x40x3 მილკვადრატით, რომელიც უფრო გამძლეა, სადაც პროჟექტორები დამონტაჟებულ იქნა H6.0 სიმაღლის ბოძებზე. პლასტმასის ზოლოვანი სამაგრები და დამცავი ბადე აღარ იყო საჭირო. ასევე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო კიბეების მოწყობის სამუშაოები: მონოლითური რკინა-ბეტონის კიბეების მოწყობა (1,0 x 0,3 x 0,17) შესასვლელ კარებთან (12 საფეხურზე), რომლის ღირებულება საერთო ჯამში შეადგენდა 931,00 ლარს დარიცხვების გარეშე. აღნიშნული თითო კიბის სიმაღლე შეადგენდა 1,02 მ-ს, რომლის მოწყობა ფიზიკურად არსად არ იყო საჭირო, რასთან დაკავშირებითაც მერიის წარმომადგენელს დროულად ეცნობა. სწორედ ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა გამოიწვია შესრულებულ და შესასრულებელ სამუშაოებს შორის თანხის სხვაობა 4 659,66 ლარის ოდენობით. ამასთან მიმწოდებელი განმარტავს, რომ სტადიონთან მისასვლელ გზაზე წვიმიან ამინდში ფაქტიურად შეუძლებელი იყო მისვლა, რის გამოც საჭირო გახდა გზაზე 18 მმ-იანი ფენა ღორღის დაყრა 15,00 $მ^3$-ის ოდენობით, რაც მიმწოდებლისთვის შემსყიდველ ორგანიზაციას არ აუნაზღაურებია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 23 მაისს, NAT240007826 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის მერიამ და შპს „ალონისმა“ (ს/ნ: 218081812) გააფორმეს № 93 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო 42 კალენდარული დღის ვადაში, 2024 წლის 4 ივლისისთვის. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 61 075,81 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 14 აგვისტო.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული № 93 ხელშეკრულების მე-10 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებდა შპს „ოპტიმალ გრუპ+“.

4.3. საქმეში არსებული შპს „ოპტიმალ გრუპ+“-ის 2024 წლის 21 აგვისტოს IR_24-05-A026/F/01 ინსპექტირების დასკვნის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შესრულებული იყო 53 732,13 ლარის ვალდებულებები. მიმწოდებლის მიერ წარდგენილ ფორმა №2 -სა და ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოების ღირებულებას შორის სხვაობა შეადგენდა 4 659,66 ლარს. ამასთან, ფაქტობრივად შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 1 197,73 ლარს. ჯამში, მიმწოდებლის მიერ შესრულებული იყო 54 929,86 ლარის ღირებულების სამუშაო.

4.4. შპს „ოპტიმალ გრუპ+“-მა 2024 წლის 11 სექტემბრის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას განუმარტა, რომ მიმწოდებლის მიერ წარდგენილ ფორმა № 2 -სა და ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოების ღირებულებას შორის სხვაობა შეადგენდა 4 659,66 ლარს, რამდენადაც მის მიერ არ იქნა შესრულებული ხარჯთაღრიცხვის ზოგიერთ პუნქტში მითითებული სამუშაოები, კერძოდ, ხარჯთაღრიცხვის მე-2, მე-3, მე-6 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოები (ბალასტის შემოტანა და მოსწორება მოედნის დაბალ

ნაწილში, თანმდევი მოტკეპვნით. ბალასტი, შემოღობვის მოწყობა მითთიებული მავთულბადით ლითონის კარკასზე და „პლასტმასის ზოლოვანი სამაგრები“). ამავე წერილის თანახმად, მიმწოდებლის მიერ ლითონის კარკასის ზომის მცირედით დარღვევამ გამოიწვია შესაბამისი სხვაობა ღირებულებებს შორის.

4.5. მხარეთა შორის გაფორმებული 2024 წლის 17 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 54 929,86 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 90%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ალონისს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მიმწოდებლის მიერ ლითონის კარკასის ზომის მცირედით დაგანსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს თავად მიმწოდებლის განმარტებაზე და მიუთითებს, რომ მხარეს უფლება აქვს შეასრულოს ვალდებულებები მხოლოდ იმგვარად, როგორც ეს გათვალისწინებულია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ამასთან, სახელშეკრულებო პირობის ცვლილება წარმოადგენს მხარეთა შეთანხმების საგანს და ძალას იძენს მხოლოდ ასეთი შეთანხმების მიღწევის (გაფორმების) შემდგომ. ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება უკეთესი მასალა, იგი საჭიროებს შემსყიდველი ორგანიზაციის თანხმობას და ასეთი თანხმობის არარსებობის პირობებში სახეზე ვერ იქნება მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები. ამგვარად, განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ მიმწოდებელმა რიგი სამუშაოებისა შეასრულა ხელშეკრულებისგან განსხვავებული მოცულობით, რაც, როგორც საქმეში არსებული შპს „ოპტიმალ გრუპ+“-ის 2024 წლის 11 სექტემბრის წერილით დგინდება, გამოწვეულ იქნა მიმწოდებლის მიერ ლითონის კარკასის ზომის მცირედით დარღვევით (მიმწოდებელი თავის განმარტებაში თავადვე მიუთითებს, რომ მან გამოიყენა უფრო გამძლე მილკვადრატები, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით). ამდენად, იმ პირობებშიც კი, თუ დადგინდება ბალასტთან დაკავშირებით მიმწოდებლის პოზიციის სისწორე, სამუშაოების ზემოხსენებულ ნაწილში არ არსებობს კომპანიის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და სახეზეა მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით

დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა)მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ შესრულებულ იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 90%. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ალონისს“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ალონისს“ (ს/ნ: 218081812) 2022 წლის 25 ნოემბერს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ლევან რაზმაძე